

## საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის რეკომენდაციის N010/18<sup>1</sup> მიმოხილვა

### შეკითხვა

შესაძლოა თუ არა, რომ ადვოკატი, რომელიც გადახდისუუნარობის საქმის წარმოების რეჟიმში არის მოვალის (გადახდისუუნარო კომპანიის) დირექტორი, ხოლო კრედიტორებს წარმოადგენენ ბანკი და ფიზიკური პირი, გამოვიდეს საქმეში, როგორც ფიზიკური პირის წარმომადგენელი ბანკის წინააღმდეგ?

### სამართლებრივი შეფასება

ადვოკატი ვალდებულია არ განახორციელოს ისეთი ქმედება და არ დაამყაროს ისეთი ურთიერთობა, რომელიც საფრთხეს შეუქმნის კლიენტის ინტერესებს, ადვოკატის პროფესიულ საქმიანობას ან დამოუკიდებლობას. („ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 8.1 )

ინტერესთა კონფლიქტი არსებობს იმ შემთხვევებშიც, როდესაც: ბ) კლიენტის ინტერესების შესაბამისად მოქმედების ვალდებულება ეწინააღმდეგება, ან არსებობს ასეთი წინააღმდეგობის წარმოშობის მნიშვნელოვანი საფრთხე ამ ადვოკატის ან მასთან დაკავშირებული პირის ინტერესებთან. (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი (შემდგომში „აპეკ“) მუხლი 6.2 (ბ))

ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობა ვრცელდება იმ შემთხვევებზეც, როდესაც ინტერესთა კონფლიქტი ან მისი წარმოქმნის საფრთხე წარმოიშობა საქმის წარმოების პროცესში. (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი (შემდგომში „აპეკ“) მუხლი 6.4 )

მოცემულ შემთხვევაში, შეკითხვა ეხება მხარეთა შორის რამდენიმე დავას. პირველი დავის მხარეები არიან გადახდისუუნარო კომპანია (რომლის დირექტორსაც წარმოადგენს ადვოკატი), რომლის ინტერესები უპირიპირდება ფიზიკურ პირსა და ბანკის ინტერესებს. მეორე საქმე ეხება ბანკსა და ფიზიკურ პირს შორის დავას, რა შემთხვევაშიც, ფიზიკურ პირმა უნდა წარადგინოს შეგებებული სარჩელი, რომლის შინაარსი უკავშირდება გადახდისუუნარობის საქმისწარმოებას. აღნიშნულ შემთხვევაში, ადვოკატის მიერ ფიზიკური პირის ინტერესების წარმოდგენამ - შეგებებული სარჩელის ფარგლებში ბანკის წინააღმდეგ წარდგენისას, შესაძლოა, წარმოქმნას ინტერესთა კონფლიქტის საფრთხე და შემდგომ ინტერესთა კონფლიქტი უშუალოდ ადვოკატის პირად ინტერესსა და ფიზიკურ პირს შორის, ვინაიდან, შეგებებული სარჩელი უკავშირდება გადახდისუუნარო კომპანიის დავას, რომლის დირექტორიც არის მოცემული ადვოკატი და რომლის საქმეზეც ერთ-ერთ მოწინააღმდეგე მხარეს წარმოადგენს ფიზიკური პირი. მიუხედავად იმისა, რომ ფიზიკური პირი (ადვოკატის პოტენციური კლიენტი) თანახმა იქნება აღნიშნული წარმომადგენლობისა, ადვოკატი ვალდებულია შინაარსობრივად შეაფასოს მოცემულ საქმეზე პროფესიული საქმიანობის განხორციელება ხომ არ წარმოქმნის ინტერესთა კონფლიქტს ან სახეზე ხომ არ იქნება მისი წარმოქმნის საფრთხე, რა შემთხვევაშიც, კლიენტის ინტერესების დაცვა და მისი წარმოდგენა ვერ მოხდება სრულყოფილად და შესაძლებელია, კლიენტის სამომავლო ინტერესები საფრთხის ქვეშ დადგეს.

### დასკვნა

ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ადვოკატის შესაფასებელია ის რისკები, რომლის აღმოჩენისას ადვოკატს პროფესიული ვალდებულება აკისრია შეწყვიტოს წარმომადგენლობის განხორციელება, მათ შორის თუ საკითხი ეხება ადვოკატის პირადი ინტერესის დაპირისპირებას არსებულ კლიენტთან და საფრთხე შესაძლებელია შეექმნას ადვოკატის დამოუკიდებლობას, სრულყოფილად განახორციელოს საადვოკატო მომსახურება.

<sup>1</sup> <https://gba.ge/pdf/5c17c83be6d71.pdf/5c17c83be6d71.pdf>

© ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი  
იურიდიული ეთიკის მიმართულება  
© ეკატერინე ჯინჭარაძე

